

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია



შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის 2022 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში

ზუგდიდი

2022

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია არის მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა მსურველებს შესთავაზოს მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის განვითარებას, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება/გადამზადებას. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის წარმომადგენლებთან პარტნიორობით ხელი შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას. კოლეჯის მისიისა და სტრატეგიული გეგმის (2017-2023 წ.წ.) შესასრულებლად კოლეჯმა ჩამოაყალიბა

- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის მიერ დასახული მიზნების მიღწევის გზებსა და საშუალებებს.
- ✓ სამოქმედო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების უზრუნველყოფის მიზნით 2022 წელს გატარებული ღონისძიებები.
- ✓ საანგარიშო წელს კოლეჯის ადმინისტრაციასა და სამსახურებში საქმიანობა მიმდინარეობდა აკადემიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებისა და პროფესიული განათლების სივრცეში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
- ✓ სასწავლო წლის დასაწყისისათვის განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებებისა. კერძოდ, კოლეჯში ჩატარდა რამდენიმე სარემონტო სამუშაოები , გაახლდა აუდიტორიები , მოეწყო სველი წერტილება , ჩაუტარდა შენობის ფართს ექსპერტიზა, გაკეთდა საევაკუაციო გასავლელი. მატერიალური რესურსის მართვის დახვეწის მიზნით შემუშავდა დოკუმენტი, კოლეჯის მატერიალური რესურსების განკარგვის წესი. IT მენეჯერის მიერ შეფასდა კოლეჯის კომპიუტერული ბაზის, ტექნიკის, ქსელის და ტექნიკური საშუალებების მიმდინარე საჭიროებები. კოლეჯში შეძენილ იქნა განვითარების გეგმის შესაბამისად კომპიუტერული ტექნიკა. 2022 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად განხორციელდა საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად გადაიხედა და განახლდა ბიბლიოთეკის სასწავლო რესურსი. საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგის შედეგად კოლეჯის ბიბლიოთეკა შეივსო წიგნადი ფონდით. კოლეჯის წიგნადი ფონდის ბალანსზე აყვანის მიზნით განხორციელდა შემდეგი მოქმედება:თითოეული შეძენილი წიგნი დამუშავდა ბიბლიოთეკის წესის თანახმად და გატარდა ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნში. საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგი ჩატარდა შემდეგი მიზნით: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის თანამედროვე წიგნადი ფონდით გამდიდრება, გაზრდილი ნაკადის შესაბამისად სასწავლო რესურსის საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა.
- ✓ ჩატარდა ინსტრუქციები სტუდენტებისა და პროფესიული მასწავლებლებისათვის ონლაინ პლატფორმის Gogle Meet -ის გამოყენების მიზნით.
- ✓ სასწავლო წლის დასაწყისისათვის სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ სასწავლო პროცესის მეთოდების გაცნობის მიზნით დაორგანიზდა პროგრამების ხელმძღვანელების, პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტების ცალკეულ ჯგუფებთან „აღმზრდელის” პროფესიულ პროგრამაზე.
- ✓ განხორციელდა ცვლილებები მარეგულირებელ დოკუმენტებში და საგანმანათლებლო პროგრამებში. განხორციელდა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია, რაშიც ჩართული იყო სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელი და დარგის შესაბამისი მასწავლებლები, ასევე აქტიურად გვეხმარებოდნენ საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციაში გაერთიანებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული მასწავლებლები.
- ✓ გაუმჯობესდა და დაიხვეწა შიდა ხარისხის მექანიზმების შესახებ წესი. განვითარდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების აქტივობები. წესში ნათლად ჩამოყალიბდა კოლეჯში მიმდინარე ძირითადი დადამხმარე პროცესები. შედეგად, გამოიკვეთა ხარისხის მენეჯერის როლი, კერძოდ, აღნიშნულ დოკუმენტშინათლად ჩანს მის მიერ გასაუმჯობესებელი გეგმის შემუშავების აუცილებლობა და საჭიროება

სისტემატიურად ხორციელდება მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.

✓ შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით, ჩატარდა კვლევა. კვლევის გაანალიზების შედეგად, დაიგეგმა საგანმანათლებლო პროგრამების, მომზადება/ გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება, კოლეჯმა დაიმატა ახალი მოკლევადიანი გადამზადების პროგრამები დადასტურების საფუძველზე, ადრეული გაათლების სპეციალისტი დააჯანმრთელობა, ჰიგიენა და უსაფრთხოება სკოლამდელი აღზრის დაწესებულებებში. გაუმჯობესდა და დაიხვეწა შიდა ხარისხის მექანიზმების შესახებ წესი. განვითარდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების აქტივობები. წესში ნათლად ჩამოყალიბდა კოლეჯში მიმდინარე ძირითადი და დამხმარე პროცესები. შედეგად, გამოიკვეთა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის როლი, კერძოდ, აღნიშნულ დოკუმენტში ნათლად ჩანს მის მიერ გასაუმჯობესებელი გეგმის

შემუშავების აუცილებლობა და საჭიროება სისტემატიურად ხორციელდება მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.

✓ პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთა არეალის გაფართოების მიზნით მოხდა პრაქტიკის ობიექტების ხელმძღვანელებთან შეხვედრა გაფორმდა ხელშეკრულება შემდეგ დაწესებულებებთან:

✓ აა(ი)პ ზუგდიდის სააღმზრდელო დაწესებულებების მართვის ცენტრი;

✓ ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი ასოციაცია გზამკვლევი;

✓ სამედიცინო ცენტრში „ნლი“.

✓ პროფესიული მოკლევადიანი გადამზადების პროგრამების პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების თაობაზე. მოლაპარაკების შედეგად დაიდო ხელშეკრულებები და მომავალში კოლეჯის მოკლევადიანი გადამზადების პროგრამის მსმენელების რეალურ სამუშაო გარემოში გაივლიან პრაქტიკას.

✓ კოლეჯი მუდმივად ზრუნავს პროფესიული სტუდენტების სერვისებით უზრუნველყოფაზე, მათ შორის ყველა სიახლე გონივრულ ვადებში ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ინფორმაცია განთავსებულია სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში. აგრეთვე პროფესიული სტუდენტის მიერ გამოგზავნილი შეკითხვა თუ მოთხოვნა და მასზე რეაგირება ხორციელდება მეილების საშუალებით.

კოლეჯის პროფორიენტაციისა და ადამიანური მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის მენეჯერის ჩართულობით განხორციელდა შეხვედრები, რომლის დროსაც დაწვრილებით გააცნეს პროფესიულ სტუდენტებს მათი უფლებები.

✓ 2022 სასწავლო წელს მიღება გამოცხადდა აღმზრდელის, ბუღალტრული აღრიცხვის, საოფისე საქმის, პროფესიულ პროგრამებზე, მათ შორის 1 პროგრამაზე სახელმწიფო დაფინანსებით. მეხუთე დონის პროფესიულ პროგრამებზე მიღება განხორციელდა სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების გზით, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის და საოფისე საქმის პროგრამების აპლიკანტების შერჩევა წარიმართა შიდაშერჩევის გზით, გასაუბრების საფუძველზე.

✓ 2022 სასწავლო წლის მიღებაზე აკადემიის ყველა პროგრამაზე რეგისტრაცია გაიარა 27 აპლიკანტმა. ბრძანებით ჩაირიცხა 14 პროფესიული სტუდენტი.

✓ 2022 წელს მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამებზე რეგისტრაცია გაიარა 95 აპლიკანტმა. ბრძანებით ჩაირიცხა 72 პროგრამით მოსარგებლე მსმენელი.

✓ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განაწილდა შემდეგნაირად:

- პროფესიულ პროგრამაზე „აღმზრდელი” - 14 პროფესიული სტუდენტი;

- პროფესიულ პროგრამებზე „ბურალტრული აღრიცხვა“ და „საოფისე საქმე“ მიღება არ შედგა.
- ✓ მომზადება გადამზადების პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტების რაოდენობა განაწილდა შემდეგნაირად:
  - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა - 15;
  - სააღმზრდელო პროცესის წარმართვა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში -12;
  - ადრეული განვითარების სპეციალისტი -24;
  - ჯანმრთელობა ,ჰიგიენა და უსაფრთხოება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში -24;
  - ფიანსური ანგარიშგება- დეკლარირება - 24 ;
- ✓ კოლეჯი იღებს საბიუჯეტო ვაუჩერულ დაფინანსებას. ასევე, პერიოდულად ღებულობს საგრანტო დაფინანსებებს. კოლეჯის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენა თანამონაწილეობითი პროცესია და პროცესში ჩართულნი არიან კოლეჯის საფინანსო მიმართულების თუ სხვა ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროგრამის განმახორციელებელი პირები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

**შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების აგარიში**

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების აგარიში																
		თვეები														
ამოცანა	აქტივობა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი/პირები	ანგარიში
ავტორიზაციის სტანდარტების გადამოწმება	სამუშაო ჯგუფის შექმნა; ჯგუფის მიერ დაგეგმილი აქტივობების განხორციელება ; საჭიროების შემთხვევაში შესაბამისობის გეგმის შედგენა ; მარეგულირებელი დოკუმენტების სრულყოფა, მოქმედ კანონმდებლო -ბის შესაბამისად.													შექმილი სამუშაო ჯგუფი; განხორციელებული აქტივობები; შედგენილი გაუმჯობესე -ბის გეგმა; ახალი მარეგულირებელი დოკუმენტები;	დირექტორი	შესრულდა- შეიქმნა სამუშაო ჯგუფი რომლებმაც გაადაამოწმეს ავტორიზაციის სტანდარტები , საჭირო გახდა რამდენიმე მარეგულირებელ დოკუმენტში შესულიყო ცვლილება .
სასწავლო და სამუშაო გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა	უსაფრთხო გარემოს უზრუნველსა -ყოფად საჭიროების იდენტიფი - ცირება და მასზე რეაგირება													ექსპერტიზის დასკვნები ,გეგმები	დირექტორი ; სამეურნეო სამსახურის	შესრულდა - 2022 წლის 22 მარტის N 45 სახანძრო -ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტის შესაბამისად დადგინდა , კოლეჯის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობის შესაბამისობა შეესაბამება

																მენეჯერი; უსაფრთხოების სპეციალისტი;	სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. ექსპერტიზის აქტის N 29 საფუძველზე ექსპერტიზა ჩატარდა კოლეჯის შენობა ნაგებობას სადაც დადგინდა რომ შენობა მდგრადია და უსაფრთხოა და ვარგისია შემდგომი შემდგომი ექსპლუატაციისათვის.	
მატერიალური რესურსების განახლება	ინვესტიციების კომისიის შექმნა; ინვესტიციების ჩატარება; პრობლემების იდენტიფიცირება გამოვლილი საჭიროების უზრუნველყოფა;															დირექტორის ბრძანება ინვესტიციების კომისიის ორგანიზაციის შესახებ; სამუშაო გეგმის დასკვნა; შესყიდვების აქტები/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები; მატერიალური რესურსი/რესურსები	დირექტორი ; სამეურნეო სამსახურის მენეჯერი;	ჩატარდა ინვესტიციების დირექტორის ბრძანებით შექმნილი საინვესტიციო კომისიის მიერ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში  არგანზორციელებულა მატერიალური რესურსების შექმნა . ეს გადაიდო 2023 წლამდე
საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება	საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლება;  ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო რესურსების განახლება;															განახლებული კატალოგი; ბიბლიოთეკის ფონდში ახალი დამატებითი რესურსი;	სამეურნეო სამსახურის მენეჯერი; ბიბლიოტეკარი;	შესრულდა-განახლდა 2022 წლის კატალოგი.
საინფორმაციო - საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება	ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის მუდმივი განახლება;															მუდმივად განახლებული ვებ გვერდი;	სამეურნეო სამსახურის მენეჯერი;	შესრულდა მუდმივად მიმდინარეობს ვებ გვერდზე ახალი ინფორმაციის განთავსება. შეფასდა IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა
	IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შეფასება;															იდენტიფიცირებული პრობლემები; გამართული ელფოსტის ერთიანი "სისტემა; ინფორმაციის ტექნოლოგიების განახლებული ინფრასტრუქტურა"	აიტ - სპეციალისტი	
	პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირების ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმის /სისტემის დახვეწა"																	
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა/განვითარება	1.საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შედგენა და საგანმანათლებლო და ტექნიკური აღჭურვილობის შექმნა															შემუსავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	დირექტორი ხარისხის სამსახურის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელი პროფესიული მასწავლებლები	ვერ შესრულდა ფინანსური ბიუჯეტის სიმცირის გამო ეს პროცედურა გადაიდო 2023 წლამდე .

<p>პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების დანერგვა განვითარება</p>	<p>ავტორიზირებული საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგების საფუძველზე მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავება (ავტორიზაციის გზით) შემუშავებული მომზადება-გადამზადების პროგრამები; მიღებული თანხმობა მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელებაზე.</p>													<p>დაერგული მომზადება/გადამზადების პროგრამები ;</p>	<p>დირექტორი ხარისხს სამსახურის მენეჯერი</p>	<p>შესრულდა კოლეჯმა დაიმატა უფლების მოპოვების გარეშე დადასტურების გზით გზით გადამზადების მოკლებადიანი პროგრამები.</p>
<p>პროგრამების დახვეწა გაუმჯობესება და სასწავლო პროცესის განვითარება</p>	<p>სასწავლო რეგულაციების გადახედვა შეფასება; ვალიდურობის მექანიზმების გაუმჯობესება;</p>													<p>სასწავლო პროცესის მართვის რეგულაციები; ჩატარებული კითხვარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ; ჩატარებული ვერიფიკაცია დოკუმენტაცია და იდენტიფიცირებული პრობლემები; შემუშავებული რეკომენდაციები; საჭიროებების გათვალისწინებით შემდგომი განვითარების გეგმის შექმნა პროგრამის განმახორციელებელი პირების რეკომენდაციები განხორციელებული დისტანციური სასწავლო კურსები</p>	<p>ხარისხს სამსახურის მენეჯერი სასწავლო პროცესის მენეჯერი პროფესიული მასწავლებლები პროფესიული სტუდენტები</p>	<p>შესრულდა - გაუმჯობესდა და დაიხვეწა შიდა ხარისხის მექანიზმების შესახებ წესი. განვითარდა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების აქტივობები. წესში ნათლად ჩამოყალიბდა კოლეჯში მიმდინარე ძირითადი დამამხმარე პროცესები. შედეგად, გამოიკვეთა ხარისხის მენეჯერის როლი, კერძოდ, აღნიშნულ დოკუმენტში ნათლად ჩანს მის მიერ გასაუმჯობესებელი გეგმის შემუშავების აუცილებლობა და საჭიროება. კოლეჯში სისტემატურად მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი : პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში ყველა მოდულის დაწყების წინ ხდება მოდულის განმახორციელებელ-ბელთან შეხვედრა, რის შემდეგ პროფესიული მასწავლებელი ადგენს კალენდარულ გეგმას, და სწავლის შედეგებს. სტუდენტის კვირეული დატვირთვა გეგმიდან და იგი შემუშავებული კალენდარული გეგმები. მიმდინარე სასწავლო პროცესი, სასწავლო ცხრილის მეშვეობით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტისთვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და დარგის სპეციალისტების ჩართულობით ჩაუტარდა ვერიფიკაცია და წარმოდგენილი რეკომენდაციების შესახებ ინფორმაცია მიეწოდათ მოდულების განმახორციელებელ პირებს;</p>

	საჭიროების შემთხვევაში განხორციელებული ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში												არგანხორციელებულა		
													კოლეჯი დისტანციურად არანხორციელებს სასწავლო პროცესს, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება კოლეჯის აუდიტორიაში.		
კერძო სექტორთან თანამშრომლობის განვითარება /გამლიერება	1. ბაზრის შესწავლა, პრაქტიკის ობიექტებთან კომუნიკაციის დამყარება, ვიზიტი ობიექტებზე, ხელშეკრულების გაფორმება, პროგრამაში ცვლილების შეტანა, ცენტრისთვის ინფორმაციის გაგზავნა.												1. პრაქტიკის ობიექტები და მასთან გაფორმებული ხელშეკრულება.	დიექტორი დირექტორი ს მოადგილე	შესრულდა- მოკლევადიანი მომზადება გადამზადების ფარგლებში დაიდო დაიდო ხელშეკრულებები შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებთან :  <ul style="list-style-type: none"> <li>✓ აა(ი)პ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვის ცენტრთან ;</li> <li>✓ სამედიცინო ცენტრი „ნლი“</li> <li>✓ რეაბილიტაციის ცენტრი „ასოციაცია გზამკვლევი“</li> </ul>
პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა საჭიროებათა კვლევა და შესაბამისი რეაგირება.	კვლევის ჩატარება პრობლემების იდენტიფიცირება												კვლევისა და გატარებული ღონისძიებების კითხვარები /ანგარიშები	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; სასწავლო პროცესის მენეჯერი ; პროფორიენ ტაციისა და პროფესიული კარიერული დაგეგმვის მენეჯერი	პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა დაიგეგმა და ჩატარდა კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმზე დაყრდნობით. კვლევა ჩატარდა სამოქმედო გეგმის თანახმად გამოყენებულ იქნა ხარისხის კონცეფციის შიდა შეფასება, რომელიც გულისხმობს კოლეჯის სხვადასხვა თანამშრომლის საქმიანობის შიდა შეფასებას, შეფასების შედეგებზე რეაგირებას, მიღებული შედეგების გაუმჯობესებას. კოლეჯი იყენებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის, ხარისხის გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით
პროფორიენტაციის ღონისძიების განხორციელება და სტუდენტების და მსმელების დასაქმების ხელშეწყობა დასაქმების განვითარება	პროფ. სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება სერვისები შესახებ; მათი ინიციატივების გაცნობა; ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები; ღონისძიებების ჩატარება არსებობის შემთხვევაში;												1. ფოტომასალა (ვებგვერდი, სოციალური ქსელები;)	ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; სასწავლო პროცესის მენეჯერი ; პროფორიენ ტაციისა და პროფესიული	კოლეჯი მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან /ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; კოლეჯში კარიერული მხარდაჭერისათვის ფეისბუქის გვერდზე შექმნილია სპეციალური დახურული ჯგუფი, სტუდენტთა და

															ი კარიერული დაგეგმვის მენეჯერი	კურსდამთავრებულთა კარიერის დაგეგმვა და განვითარება", სადაც ქვეყნდება ინფორმაციები ახალი საწარმოების გახსნის, დასაქმების შესაძლებლობებისა და მიმდინარე ვაკანსიების შესახებ. ასევე, კოლეჯის ხელშეწყობით/ორგანიზებით ეწყობა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შეხვედრები პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტში, დამსაქმებლებთან. კოლეჯი ასევე აწყობს სასწავლო ექსკურსიებს სხვადასხვა ორგანიზაციებში.	
სტუდენტების ღონისძიებების ორგანიზება/ორგანიზებ აში ხელშეწყობა	გასართობი/სადღესასწაულო/კულტურული ღონისძიებების და ექსკურსიების დაგეგმვა														ფოტომასალა (ვებგვერდი, სოციალური ქსელები;)	კოლეჯის ადმინისტრაცია, სტუდენტები	კოლეჯი მუდმივად ზრუნავს პროფესიული სტუდენტების სერვისებით უზრუნველყოფაზე, მათ შორის ყველა სიახლე გონივრულ ვადებში ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. ინფორმაცია განთავსებულია სოციალურ ქსელში არსებულ ჯგუფებში. აგრეთვე პროფესიული სტუდენტის მიერ გამოგზავნილი შეკითხვა თუ მოთხოვნა და მასზე რეაგირება ხორციელდება მეილების საშუალებით.
ადმინისტრაციული პერსონალის მართვა	ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევა დანიშვნა; ადმინისტრაციის მუშაობის მონიტორინგი შეფასება; ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროების დადგენა და შესაბამისი ღონისძიებები დადგენა; ადმინისტრაციული პერსონალის სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გეგმის შემუშავება; ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა ;														კვალიფიციური პერსონალი; საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნები; საკონკურსო კომისია; კონკურსის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტები; პერსონალის პირადი საქმე; სწავლებისათვის საჭირო მასალა, სწავლების გეგმა; შევსებული კიტხვარები;	დირექტორი ; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; ადმინისტრაცია	კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას შედგენილი ფორმების შესაბამისად, კოლეჯს შემუშავებული აქვს მასწავლებელთა შეფასების ინსტრუქცია, თვითშეფასების ფორმები რაც უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენას. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი გეგმის შესაბამისად (ან არაგეგმიურად რაიმე კონკრეტული საჭიროების გამოსავლენად) ახორციელებს პერსონალის კვლევას და შედეგების ანალიზით ადგენს საჭიროებებს. პერსონალის განვითარება ხორციელდება კოლეჯის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. პერსონალის შეფასების მიზანია უზრუნველყოს კოლეჯის თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასება და მასზე დაყრდნობით განსაზღვროს პერსონალის საჭიროების, პროფესიული განვითარების, წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების შესაბამისი აქტივობები.

<p>ადამიანური პერსონალის შერჩევა და პიროვნული განვითარება</p>	<p>პროფესიული განათლების მასწავლებლის მოძიება ;აკადემიური პერსონალის სერჩევა,შრომითი ხელშეკრულების გაფორმება; მასწავლებელთა საჭიროების გამოვლენა; პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებაში ჩართულობის უზრუნველყოფა; ტრენინგის დაგეგმვა ჩართულობა პროფესიული მასწავლებლებისა- თვის ;</p>	<p></p>	<p>გამოცხადებული კონკურსის მასალები; შერჩეული პერსონალის პირადი საქმე;კვალიფიციური პერსონალი;დაგაგმილი და ჩატარებული ტრენინგები აღრიცხვის ჟურნალები;</p>	<p>დირექტორი ; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;</p>	<p>კოლეჯი უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლების მიერ. საქმისწარმოების მენეჯერი ან კოლეჯის პროფორიენტაციისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი გადასცემს თანამდებობრივ ინსტრუქციას და განუმარტავს თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები ექნება წყაყენებული მის მიმართ, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში და აცნობს ყველა იმ საჭირო ვალდებულებებს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვნად შესრულებებისათვის. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი უტარებს შესავალ ინსტრუქტაჟს.</p>
<p>პერსონალის განვითარება</p>	<p>კოლეჯის ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლება</p>	<p></p>	<p>კვალიფიციური პერსონალი</p>	<p>დირექტორი ; ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;</p>	<p>მიღებული შედეგების მიხედვით კოლეჯი ადგენს სხვადასხვა ნომინაციებს მასწავლებელთა წახალისების მიზნით და შესაბამისად ხდება სერთიფიკატებით დაჯილდოვება ასევე კოლეჯი მუდმივად ცართულია კერძო კოლეჯების მიერ დაგაგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში როგორცაა: სტუდენტური საახალწლო ღონისძიებაში აქტიური ჩართულობისთვის ; საართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ მასწავლებელთა და სტუდენტთა მე-3 ეროვნულ კონფერენციაში; პროფესიული განათლების ჯილდო პროფესიული განათლების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.</p>